186
1928. ნ. II

ეროვნული
ბიბლიოთეკა

34105
1-29.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

1928 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1928 წ. ნოემბრის 3 — № 4 — ნაწილი მეორე

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

### ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

16. დადგენილება № 45 ც. ა. კ.—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წევრთა შედგენილობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

17. დადგენილება № 56 ც. ა. კ.—„ბავშების მეგობართა“ საზოგადოების ნორმალური წესდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი

## 16. დადგენილება № 45 ც. ა. კ.

(სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიისა)

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წევრთა შედგენილობაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 34 მუხლისა და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დებულების მე-12 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სიმონ პილატეს-ძე ჯუღელი განთავისუფლებულ იქნეს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობისაგან.

2. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად დანიშნულ იქნენ ამხ. ამხ. გერმანე ანდრიას-ძე მგალობლიშვილი და ვლადიმერ გიორგის-ძე ივანოვ-კავკაზსკი; ამასთანავე გერმანე მგალობლიშვილი დატოვებულ იქნეს ფინანსთა სახალხო კომისარის თანამდებობაზე.

3. მიწათმოქმედების სახალხო კომისრად დანიშნულ იქნეს ამხ. სიმონ პილატეს-ძე ჯუღელი.

4. ამხ. ბესარიონ ალექსის-ძე ჭიჭინაძე განთავისუფლებულ იქნეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობისაგან.

5. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულ იქნეს ამხ. გიორგი დავითის-ძე ყურულაშვილი.

6. ამხ. ანდრია გიორგის-ძე დოლიძე განთავისუფლებულ იქნეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის თანამდებობისაგან.

7. ამხ. ვლადიმერ გიორგის-ძე ივანოვ-კავკაზსკი დანიშნულ იქნეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად.

8. ამხ. იაკობ მიხეილის-ძე ვარძიელი განთავისუფლებულ იქნეს იუსტიციის სახალხო კომისრის თანამდებობისაგან.

9. იუსტიციის სახალხო კომისრად დანიშნულ იქნეს ამხ. შალვა სპირიდონის-ძე მათიკაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ვალერიან ათანასეს-ძე ვაშაკიძე დანიშნულ იქნეს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისრად.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. ივლისის 4.
ტფილისი—სასახლე.

---

✓ 17. დადგენილება № 56 ც. ა. კ.

**„ბავშების მეგობათრა“ საზოგადოების ნორმალური წესდების დამტკიცების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული ნორმალური წესდება „ბავშების მეგობართა“ საზოგადოებისა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. სტურუა.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. აპრილის 25.
ტფილისი—სასახლე.

# ნორმალური წესდება

## „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოებისა.

### I. მიზნები.

§ 1 ........................ „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოება არის მშრომელთა ნებაყოფლობითი შენაერთი, რომელიც ბავშვთა მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების ყოველმხრივი გაუჯობესებისა და გაჯანსაღებისათვის მიზნად ისახავს:

ა) ბავშვთა უპატრონობის წინასწარ აცილებას და მის წინააღმდეგ ბრძოლას;

ბ) ხელის შეწყობას იმ სახელმწიფო ორგანოებისათვის, რომელნიც მუშაობას აწარმოებენ ბავშვთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისა და უპატრონობისა და უმეთვალყურეობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ფართო მშრომელი მასების ჩაბმას ბავშვთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის წარმოებულ მუშაობაში და ბავშვთა უპატრონობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

## II. „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოების უფლება-მოვალეობანი.

§. 2. 1-ლ §-ში აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად საზოგადოება:

ა) ხელს შეუწყობს ყველა თავისი სახსრითა და საშუალებით ბავშვთა ყოფა-ცხოვრების გაჯანსაღებას მშრომელთა ოჯახებში, მათ შორის „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოების წევრთა ოჯახებშიაც, (ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა; ამასთანავე, მიღებულ უნდა იქნეს მხედველობაში ამ უკანასკნელთა ყოფა-ცხოვრების ყველა თავისებურება);

ბ) დახმარებას აღმოუჩენს სახლში იმ ოჯახთა მოზარდებს, რომელნიც უკიდურეს მატერიალურ პირობებში იმყოფებიან ან დროებით ჩავარდნენ ამ მდგომარეობაში;

გ) ხელს შეუწყობს ბავშვთა სახლებიდან, აგრეთვე მშრომელთა ოჯახებიდან უპატრონო ბავშვებისა და მოზარდების გამოყვანას და სათანადო მეთვალყურეობას გაუწევს ამ ბავშვებს;

დ) ხელს შეუწყობს არა სრულწლოვანთათვის მეურვეობის დაწესებას;

ე) ხელს შეუწყობს იმ ბავშვებსა და მოზარდებს, რომელთაც კავშირი დაუკარგავთ თავის ნათესავებთან, და აგრეთვე იმ მშობლებს, რომელთაც ბავშვები დაუკარგავთ. ამ ბავშვებისა და მოზარდების მშობლებისა და ნათესავების ოჯახში დაბრუნებას;

ვ) ყოველმხრივ დახმარებას აღმოუჩენს არსებულ საბავშვო დაწესებულებებს როგორც მატერიალური სახსარით, ისე თავისი წევრების პირადი მოქმედებით: საბავშვო დაწესებულებებზე შეფობის მიღებით. საბავშვო დაწესებულებათა ბავშვებისათვის საზოგადოების სახელოსნოებში ადგილების მიცემით, წარმოებაში მოზარდთა მოწყობით და სხვ;

ზ) მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფო ორგანოების მიერ მოწყობილ ცალკე რაიონების საბავშვო დაწესებულებათა გამოკვლევაში უპატრონო ბავშვთა და მოზარდთა აღმოჩენისა და აღნუსხვის მიზნით;

თ) ხელს შეუწყობს სათანადო სახელმწიფო ორგანოებს და უშუალოდ თვითონაც მოაწყობს სხვადასხვა ტიპის საბავშვო დაწესებულებებს, როგორც უპატრონო ბავშვთათვის (ღამის გასათევი სახლები, შესავრდომები, საერთო საცხოვრებელი ბინები და სხვ.), ისე უპატრონობის თავიდან ასაცილებლად (საზაფხულო მოედნები, საბავშვო ბაღები, სასადილოები,კლუბები, სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები და სხვ.), გააუმჯობესებს მოსწავლეთა ყოფა-ცხოვრებას საუზმეების მოწყობით, ღარიბესი მოსახლეობის წრეების მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოებისა, ტანსაცმლისა, ფეხსაცმლისა და სხვ. მიწოდებით.

**შენიშვნა.** საბავშვო დაწესებულებებს საზოგადოება მოაწყობს სათანადო სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით ბავშვთა უპატრონობისა და უმეთვალყურეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა საერთო გეგმის განხორციელების წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) იჯარით აიღებს ადგილებს ბავშვთა სანატორიუმებში, ტყის სკოლებში და, საერთოდ, ხელს შეუწყობს სამკურნალო-სასანიტარო დახმარების მოწყობას, როგორც საბავშვო დაწესებულებებში, ისე ამ დაწესებულებების გარეშე მყოფ ბავშვებისადა მოზარდებისათვის;

კ) გაავრცელებს სოციალური აღზრდის იდეებს მშრომელთა ფართო წრეებშიდა, უპირველეს ყოვლისა, თავის წევრებს შორის;

ლ) მოაწყობს დადგენილი წესისამებრ ლექციებს, მოხსენებებს, გამოფენებს, გამოსცემს ფურცლებს, ბროშურებს და სხვ. სააგიტაციო-საპროპაგანდო მასალას;

მ) მოაწყობს ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების განსაკუთრებული ნებართვით სამეურნეო საწარმოთ ან განახორციელებს განსაზღვრულ სამეურნეო ხასიათის ოპერაციებს;

ნ) მიიზიდავს საზოგადოებაში ახალ წევრებს:

ო) ხელს შეუწყობს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ საბავშვო კომისიებს მათ მიერ სახსარის გამოსაძებნად წარმოებულ მუშაობაში და აწარმოებს მუშაობას სრულის თანხმობით როგორც საბავშვო კომისიებთან, ისე სახალხო განათლების და ჯანმრთელობის განყოფილებებთან და სხვა ორგანოებთან, რომელნიც მუშაობას აწარმოებენ ბავშვთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისა და გაჯანსაღებისათვის და ბრძოლას ეწევიან ბავშვთა უპატრონობის წინააღმდეგ.

§ 3 .......................... „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოებას თავისი მიზნების განხორციელებისათვის აქვს იურიდიული პირის უფლებანი და შეუძლია შეიძინოს და გაასხვისოს ქონება, დასდოს გარიგება და ხელშეკრულება, მიიღოს ვალდებულება, ისარჩელოს და პასუხი აგოს სასამართლოში.

§ 4 .......................... საზოგადოება მის მიერ გაცემული ვალდებულებისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით და კაპიტალით.

§ 5 .......................... „ბავშვების მეგობართა“ საზოგადობას აქვს შტამპი და ბეჭედი თავისი სახელწოდების აღნიშვნით და მოქმედებს მთლად .......................... მაზრის ტერიტორიაზე.

### III. საზოგადოების შედგენილობა.

§ 6—საზოგადოების წევრად შეუძლია იყოს ორივე სქესის მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შესრულებია და, საქართველოს სსრ კონსტიტუციის თანახმად, აქვს საარჩევნო უფლება, და რომელიც სახელშებღალული არ არის სასამართლოს მიერ. აგრეთვე იურიდიულ პირს: მთავრობისა, პროფესიონალური, კოოპერატიული და სხვ. დაწესებულებასა და საწარმოს, რომელიც მონაწილეობას იღებს საზოგადოების მუშაობაში თავისი წარმომადგენელის მეშვეობით.

**შენიშვნა.** იმ პირს, რომელსაც 18 წელი არ შესრულებია, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოების მუშაობაში, როგორც დამხმარე პირს, სათათბირო ხმის უფლებით.

§ 7. „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოების ყოველი წევრი შეიტანს საშესასვლელო და საწევრო გადასახადს, რომლის რაოდენობასაც საზოგადოების სამაზრო ყრილობა დააწესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 8. საზოგადოების წევრს მიეცემა საწევრო ბილეთი.

§ 9. საზოგადოების ის წევრი, რომელიც 6—თვის განმავლობაში არ შეიტანს ფულად ან მატერიალურ გადასახადს, საზოგადოების წევრობიდან გამორიცხულად ითვლება და შეიძლება ხელახლა მიღებულ იქნეს საერთო წესისამებრ.

§ 10. ახალ წევრს მიიღებს „ბავშვების მეგობართა“ უჯრედის ბიურო და დაამტკიცებს უჯრედის საერთო კრება.

§ 11. საზოგადოების წევრობიდან გამოსვლა შეიძლება.

ა) უკეთუ წევრი თავისი სურვილით გავა:

ბ) უკეთუ იგი არ შეიტანს საწევრო გადასახადს მე-9 §-ში აღნიშნულ ვადაზე:

გ) უკეთუ წევრი გამოირიცხება სათანადო უჯრედის საერთო კრების დადგენილებით, როცა გამორიცხული თავისი ყოფაქცევით სახელს გაუტეხს საზოგადოებას ან სისხლის სამართლის დანაშაულს ჩაიდენს, ან როცა იგი საზოგადოების წესდებას დაარღვევს.

## IV. „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოების სახსარი და მისი დახარჯვის წესი.

§ 12. „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოების სახსარს შეადგენს:

ა) საწევრო შესასვლელი და პერიოდიული გადასახადი:

შესასვლელი გადასახადის რაოდენობა უდრის თვიურ საწევრო გადასახადს;

ბ) ნებაყოფლობითი შეწირულება;

გ) შემოსავალი საზოგადოების მიერ მოწყობილი კონცერტებისა, კინო-სეანსებისა, ლექციებისა, წარმოდგენებისა, მიწის ნაკვეთების დამუშავებისა, საზოგადო სამუშაოების შესრულებისა და

დ) იმ საწარმოთა ან ცალკე ოპერაციათა შემოსავალი, რომელთა ექსპლოატაციაც ნებადართული აქვს საზოგადოებას.

§ 13. საზოგადოების სახსარი მოხმარდება მარტოოდენ მისი წესდებით გათვალისწინებულ მიზნებს.

§ 14. „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოების ადგილობრივი საბჭოების უჯრედები გადარიცხავენ „ბავშვების მეგობართა“ სამაზრო საზოგადოების სასარგებლოდ ყველა თავიანთი შემოსავლის 25%-ს, ხოლო საზოგადოების სამაზრო საბჭოები, თავისი მხრით გადარიცხავენ ყველა თავიანთი შემოსავლის 20% სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საბავშვო კომისიის სასარგებლოდ.

§ 15. საზოგადოების ზემდგომ და ქვემდგომ ორგანიზაციებს შორის ანგარიშგების წესს განსაზღვრავს „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოების სამაზრო საბჭო.

## V. საზოგადოების სტრუქტურა.

§ 16. საზოგადოების წევრები გაერთიანდებიან უჯრედებათ.

უჯრედის მუშაობის ხელმძღვანელობისა და საქმეების გამგებლობისათვის უჯრედის საერთო კრებაზე აირჩევა უჯრედის ბიურო; იმავე წესით აირჩევიან

მუხსურბული
ბიბლიოთეკა

წარმომადგენლები, სათემო, სარაიონო ან საქალაქო კონფერენციაზე გასაგზავნად.

საქალაქო, სარაიონო ან სათემო კონფერენცია, რომელიც უჯრედების წარმომადგენლებისაგან შესდგება, აარჩევს უჯრედების საქალაქო სათემო ან სარაიონო საბჭოს, სარევიზიო კომისიას და აგრეთვე წარმომადგენლებს საზოგადოების სამაზრო ყრილობაზე გასაგზავნად.

საზოგადოების სამაზრო ყრილობა, რომელიც კონფერენციებზე არჩეულ წარმომადგენლებისაგან შესდგება, აირჩევს საზოგადოების სამაზრო საბჭოს და სარევიზიო კომისიას.

**VI. „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოების მმართველობის ორგანოები.**

§ 17. „ბავშვების მეგობართა“ სამაზრო საზოგადოების მმართველობის უმაღლესი ორგანო არის საზოგადოების სამაზრო ყრილობა.

საზოგადოების ყველა საქმეს განაგებს და ყრილობის გადაწყვეტილებებს განახორციელებს საზოგადოების სამაზრო საბჭო, რომელსაც სამაზრო ყრილობა აირჩევს ყრილობის მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

საბჭოს წევრთა შედგენილობიდან აირჩევა პრეზიდიუმი, რომელშიაც შედის სამიდან შვიდ წევრამდე და ორი კანდიდატი.

ადგილობრივად ქვეჩამავლობის მიხედვით, ყველა საქმეს განაგებს:

ა) უჯრედის სათემო, საქალაქო ან სარაიონო კონფერენციის მიერ არჩეული უჯრედთა საბჭო;

ბ) უჯრედების საერთო კრების მიერ არჩეული უჯრედთა ბიურო.

**შენიშვნა.** თვითეული ასარჩევი ორგანოს რიცხობრივ შედგენილობას განსაზღვრავს ის კრება, რომელიც ამ ორგანოს აირჩევს.

მმართველობის ყველა ადგილობრივი ორგანო ექვემდებარება თავის მოქმედებაში საზოგადოების ზემდგომ ორგანოს.

§ 18. ყრილობის მიერ ერთი წლის ვადით არჩეული „ბავშების მეგობართა“ საზოგადოების სამაზრო საბჭო არის საზოგადოების უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანო ყრილობიდან ყრილობამდე და თავის უფლება-მოსილობას შეინარჩუნებს ყრილობის მიერ საბჭოს ახალი შედგენილობის არჩევამდე.

§ 19. საზოგადოების საბჭო განახორციელებს ყრილობის დადგენილებებს, წარმართავს საზოგადოების მოქმედებას და დაამტკიცებს მისი მუშაობის გეგმას და ანგარიშებს.

§ 20. უშუალო მუშაობისათვის საბჭო გამოჰყოფს პრეზიდიუმს.

§ 21. საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმი წარმოადგენს საზოგადოებას სხვა დაწესებულებებსა და პირებთან ურთიერთისადმი მიმართვის სფეროში; საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმითა და მისივე დირექტივებით განახორციელებს საზოგადოების მიზნებს; ხელმძღვანელობას გაუწევს საზოგადოების ქვემდგომ ორგანიზაციების მოქმედებას და პასუხს აგებს მათი მუშაობის სისწორისათვის.

§ 22. სათემო, საქალაქო ან სარაიონო კონფერენციის მიერ არჩეული უჯრედთა საბჭო კონფერენციიდან კონფერენციამდე წარმოადგენს „ბავშვების მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობართა“ უჯრედების ხელმძღვანელ ორგანოს და შეინარჩუნებს თავის უფლება-მოსილობას უჯრედების საბჭოს ახალი შედგენილობის არჩევამდე; კონფერენციაზევე აირჩევა სარევიზიო კომისია.

§ 23. უჯრედთა საბჭო განახორციელებს უჯრედების სათანადო სათემო, საქალაქო და სარაიონო კონფერენციისა და საზოგადოების სამაზრო ყრილობის დადგენილებებს; შეასრულებს საზოგადოების სამაზრო საბჭოს დირექტივებს; ხელმძღვანელობას გაუწევს ადგილობრივი უჯრედების მოქმედებას და დაამტკიცებს მათი მუშაობის გეგმასა და ანგარიშებს.

§ 24. უშუალო მუშაობისათვის „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოების უჯრედების საქალაქო, სათემო და სარაიონო საბჭო გამოჰყოფს პრეზიდიუმს.

§ 25. საზოგადოების საქალაქო, სათემო და სარაიონო საბჭოებისა და სარევიზიო კომისიების წევრთა უფლება-მოსილობის ვადა განისაზღვრება ერთი წლით.

§ 26. საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია არის მისი უჯრედი, რომელიც მოეწყობა „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოების ქვემდგომი ორგანიზაციისა ან თვით მოსახლეობის ინიციატივით, ფაბრიკებსა, ქარხნებსა, სახელმწიფო დაწესებულებებსა, სოფლებსა, სასწავლებლებსა, სამხედრო ნაწილებსა, საბინაო ამხანაგობებში და სხვ.

§ 27. „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოების ყოველი ახლად მოწყობილი უჯრედი რეგისტრაციაში გატარებულ უნდა იქნეს მის ზემდგომ ორგანიზაციაში.

§ 28. უჯრედის წევრთა საერთო კრება თავის წევრთა შემადგენლობიდან გამოჰყოფს ბიუროს სამი წევრისა და 2 კანდიდატის შედგენილობით, ხოლო უჯრედის საქმეებისა და აგრეთვე უჯრედის ფულადი თანხებისა და მისი მოქმედების რევიზიისათვის მთლიანად—სარევიზიო კომისიას.

უჯრედის ბიუროში და სარევიზიო კომისიაში არჩეულ წევრთა უფლება-მოსილობის ვადა განისაზღვრება 6 თვით.

§ 29. უჯრედის ბიურო თავისი მოქმედებისათვის იხელმძღვანელებს ამა წესდებას და აგრეთვე საზოგადოების ზემდგომი ორგანიზაციების დადგენილებებსა და დირექტივებს.

### VII. საზოგადოების სამაზრო სარევიზიო კომისია.

§ 30. სამაზრო-სარევიზიო კომისია აირჩევა ყრილობის მიერ ერთი წლის ვადით; სარევიზიო კომისიის წევრები თავისი შედგენილობიდან აირჩევენ თავმჯდომარეს.

§ 31. სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია ყრილობის წინაშე, მოქმედობს დამოუკიდებლად და შეიკრიბება განსაზღვრულ ვადაზე თავისი შეხედულობით, მაგრამ ყოველ ორ თვეში ერთხელ მაინც.

§ 32. სარევიზიო კომისია შეამოწმებს საზოგადოების მუშაობას არა მარტო ფორმალურად, არამედ არსებითადაც, თვალყურს ადევნებს და შეამოწმებს საქმის წარმოებისა და ანგარიშგების სისწორეს, თვალყურს ადევნებს წესდების შესრულებას, როგორც საბჭოს, ისე საზოგადოების ცალკე წევრების მიერ; რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიზიას გაუკეთებს საზოგადოების სალაროსა და ყველა დაწესებულებას; გამოიკვლევს საზოგადოების საერთო მოქმედებას, დაამზადებს ანგარიშებსა და რევიზიის აქტებს მოხსენებისათვის და ხელმძღვანელობას გაუწევს ქვემდგომ სარევიზიო კომისიების მოქმედებას.

§ 33. სარევიზიო კომისიის წევრები მონაწილეობას მიიღებენ საბჭოს სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით.

§ 34. საზოგადოების უჯრედების საქალაქო, სათემო და სარაიონო საბჭოებისა და მისი ძირეული უჯრედების სარევიზიო კომისიების კონსტრუქცია ანალოგიურია „ბავშვების მეგობართა“ სამაზრო საზოგადოების სარევიზიო კომისიის კონსტრუქციისა.

## VIII. ყრილობები და კონფერენციები.

§ 35. „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოების სამაზრო ყრილობა არის: ა) მორიგი, რომელსაც მოიწვევს საზოგადოების საბჭო წელიწადში ერთხელ; ბ) საგანგებო, რომელსაც მოიწვევს საზოგადოების საბჭო საჭიროებისადამიხედვით, ან საზოგადოების სარევიზიო კომისიის მოთხოვნით.

§ 36. საზოგადოების ყრილობა შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრენ იმ უჯრედების საქალაქო, სათემო და სარაიონო საბჭოების წარმომადგენელნი, რომელნიც აერთიანებენ არა ნაკლებ ვიდრე საზოგადოების ყველა წევრთა $^1/_5$-ს.

§ 37. ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმას, ყრილობის დღის წესრიგსა და ყრილობის მოწვევის ვადებსა და წესს განსაზღვრავს საზოგადოების საბჭო.

§ 38. „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოების ყრილობის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოების საბჭოს და სარევიზიო კომისიის მოხსენებისა, ანგარიშისა დახარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება;

ბ) საზოგადოების წესდების შეცვლა;

**შენიშვნა.** საზოგადოების წესდების შეცვლისათვის საჭიროა ყრილობას დაესწროს იმ ორგანიზაციების წარმომადგენელნი, რომელნიც აერთიანებენ არა ნაკლებ, ვიდრე საზოგადოების ყველა წევრთა $^1/_3$-ს.

გ) საზოგადოების მუშაობის შესახებ რეზოლიუციებისა და დირექტივების მიღება;

დ) საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევა;

ე) საზოგადოების ლიკვიდაციის საკითხის გადაწყვეტა.

§ 39. „ბავშვების მეგობართა“. უჯრედების საბჭოს საქალაქო, სათემო და სარაიონო კონფერენციები არის:

ა) პერიოდიული, რომელსაც უჯრედების საბჭო მოიწვევს წელიწადში ორჯერ მაინც;

ბ) საგანგებო, რომელსაც მოიწვევს უჯრედების საბჭო საჭიროებისდამიხედვით, ან იმ წევრთა საერთო რიცხვის $^1/_5$-ის მოთხოვნით, რომელთაც აერთიანებს უჯრედების საბჭო, ან და უჯრედების საბჭოს სარევიზიო კომისიის მოთხოვნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 40. უჯრედების საბჭოს მიერ მოწვეული კონფერენციის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) საბჭოს და სარევიზიო კომისიის მოხსენებისა და ანგარიშების განხილვა და დამტკიცება;

ბ) საბჭოს მუშაობის შესახებ საერთო რეზოლიუციებისა და დირექტივების მიღება;

გ) საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევა;

დ) უჯრედების საბჭოს ლიკვიდაციის საკითხის განხილვა;

ე) „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოების უჯრედის ლიკვიდაციის საკითხის გადაწყვეტა.

## IX. საზოგადოებისა და მისი ორგანიზაციების ლიკვიდაცია.

§ 41. დადგენილება „ბავშვთა მეგობრის“ სამაზრო საზოგადოების ან მისი უჯრედების ადგილობრივი (სათემო, საქალაქო და სარაიონო) საბჭოების და ბიუროს ლიკვიდაციის შესახებ გამოიტანება საზოგადოების წევრთა ყრილობისა და კონფერენციის წევრთა $^2/_3$ ხმის უმეტესობით.

§ 42. „ბავშვების მეგობართა“ სამაზრო საზოგდოებისა და მისი უჯრედების ადგილობრივი (საქალაქო, სათემო და სარაიონო) საბჭოების ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს აგრეთვე მთავრობის ორგანოების განკარგულებით.

§ 43. უკეთუ მთლად საზოგადოების ლიკვიდაცია მოხდა, მთელი მისი ქონება გადადის სათანადო სახელმწიფო ორგანოს ხელში, რომელიც აწარმოებს მუშაობას ბავშვთა ყოფა-ცხოვრების გაჯანსაღებისათვის და ბრძოლას ბავშვთა უპატრონობისა და უმეთვალყურეობის წინააღმდეგ, ხოლო უკეთუ „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოების უჯრედების საქალაქო, სათემო ან სარაიონო საბჭოს ან და მისი ძირეული უჯრედის ლიკვიდაცია მოხდა, მთელი ქონება „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოებისა სათანადო ზემდგომი ორგანოს ხელში გადადის.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 1816. დაიბეჭდა 1.000.